Tax • Audit • Consulting

შპს დიზი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს დიზის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შესადარისი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც ფასს-ის სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასება.
- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- კომპანიის მასშტაბით შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარადგენს და ხსნის კომპანიის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელება;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენა და პრევენცია.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: სერგეი ტიბეცი _____
19 აგვისტო 2025 წელი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს დიზის (შემდგომში „კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შესადარისი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც ფასს-ის სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასება.
- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- კომპანიის მასშტაბით შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარადგენს და ხსნის კომპანიის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელება;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენა და პრევენცია.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: სერგეი ტიბეცი
19 აგვისტო 2025 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დიზის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს დიზის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, განმარტებულია ჩვენი დასკვნის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-8, მე-17, მე-19 და მე-20 შენიშვნებზე, რომლებშიც აღწერილია დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე "ფასს"-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;

- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს თიემსის სახელით (რეგ. # SARAS-F-156621)
მამუკა მარდალეიშვილი (რეგ. # SARAS-A-795740)

19 აგვისტო, 2025 წელი
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024 ლარი	2023 ლარი
ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან		8,466,343	5,137,814
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	5,245,132	3,236,143
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	6	(718,235)	(652,229)
სალიზინგო მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი		(930,414)	(226,727)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(5,148,575)	(4,361,376)
ფინანსური ხარჯები	8	(2,371,926)	(2,142,411)
არასაოპერაციო შემოსავალი	9	3,131,270	2,087,933
მოგება დაბეგვრამდე		**7,673,594**	**3,079,147**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**7,673,594**	**3,079,147**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**7,673,594**	**3,079,147**

დირექტორი: სერგეი ტიბეცი _____

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
		ლარი	ლარი
ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან		8,466,343	5,137,814
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	5,245,132	3,236,143
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	6	(718,235)	(652,229)
სალიზინგო მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი		(930,414)	(226,727)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(5,148,575)	(4,361,376)
ფინანსური ხარჯები	8	(2,371,926)	(2,142,411)
არასაოპერაციო შემოსავალი	9	3,131,270	2,087,933
მოგება დაბეგვრამდე		**7,673,594**	**3,079,147**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**7,673,594**	**3,079,147**
წლის სხვა სრული შემოსავალი		**-**	**-**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**7,673,594**	**3,079,147**

დირექტორი: სერგეი ტიბეცი _____

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
		ლარი	ლარი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	1,433,542	409,886
სალიზინგო მოთხოვნები	11	27,092,593	19,890,964
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12	440,166	304,190
გადახდილი ავანსები		74,676	38,291
მარაგები		4,136	1,860
აქტივის გამოყენების უფლება	13	-	114,156
ძირითადი საშუალებები	14	177,125	187,380
არამატერიალური აქტივები	15	16,131	16,131
სულ აქტივები		**29,238,368**	**20,962,858**
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	16	248,595	257,923
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	13	-	105,046
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	17	-	770,713
საგადასახადო ვალდებულებები		272,297	353,403
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	36,474	86,889
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	13	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	17	15,459,342	15,364,388
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	19	3,699,523	2,175,950
სულ ვალდებულებები		**19,716,231**	**19,114,312**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		220	220
გაუნაწილებელი მოგება		9,521,917	1,848,326
სულ საკუთარი კაპიტალი		**9,522,137**	**1,848,546**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**29,238,368**	**20,962,858**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(აკუმული რებული ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**32,220**	**(1,230,821)**	**(1,198,601)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,079,147	**3,079,147**
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(32,000)	-	**(32,000)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**220**	**1,848,326**	**1,848,546**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,673,594	**7,673,594**
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	**-**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**220**	**9,521,917**	**9,522,137**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2024 ლარი	2023 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	37,601,419	23,072,806
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(33,714,411)	(28,243,673)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(2,416,240)	(1,811,627)
გადახდილი გადასახადები	(2,083,773)	(1,033,827)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(613,006)**	**(8,016,321)**
ძირითადი საშუალებების შეძენა	(53,497)	(40,185)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(16,643)
მიღებული პროცენტები	58,416	50,071
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**4,919**	**(6,757)**
ცვლილებები მიღებულ სესხებში	1,969,331	8,691,318
გადახდილი პროცენტები	(293,081)	(558,882)
ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	-	(32,000)
ფინანსური იჯარის ვალდებულების გადახდა	-	(294,480)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**1,676,250**	**7,805,956**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	**1,068,163**	**(217,122)**
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(44,507)	(351,439)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**409,886**	**931,695**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**1,433,542**	**409,886**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „დიზი“ (შემდგომში „კომპანია“, ს.კ.: 436048778) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 16/09/2021. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N71, ოფისი N33.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტოლიზინგის მომსახურების გაწევა.

კომპანიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 91% - დენის ხიმიაკი (AB3122354, ბელარუსი),
- 9% - ვლადისლავ პასტუხოვი (66N3024083, რუსეთის ფედერაცია);

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. მომზადების საფუძველი

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 18 სექტემბრით დათარიღებული №15 ბრძანების მოთხოვნებისა და საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31.12.2024	31.12.2023
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო / ლარი	2.9306	2.9753
100 რუსული რუბლი / ლარი	2.5405	2.9916

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

I. თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია ის საკუთარ ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებული ან შეფასებული ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, სალიზინგო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს.

II. შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები;
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით;
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

III. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ფინანსური ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

IV. ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის

კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება:

- მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით;
- ფულის დროითი ღირებულება და
- ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გარეშე.

კომპანია იყენებს გაუფასურების სამი სტადიის მოდელს, რომელიც ეფუძნება საწყისი აღიარების შემდეგ ცვლილებებს საკრედიტო ხარისხში.

- 1-ელი სტადია: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საწყისი აღიარებისას არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მიეკუთვნება 1-ელ სტადიას. 1-ელ სტადიაზე მყოფი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელსაც განაპირობებს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულების დაფარვის თარიღამდე (რომელიც უფრო ხანმოკლე ვადაა) შესაძლო დეფოლტის მოვლენა („12-თვიანი საკრედიტო ზარალი“).

- მე-2 სტადია: თუ კომპანია გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას საწყისი აღიარების შემდეგ, აქტივი გადავა მე-2 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავს კომპანია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდას, აღწერილია 22-ე პარაგრაფში.

- მე-3 სტადია: თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, აქტივი გადავა მე-3 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიის მიერ საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების განმარტება და დეფოლტის განმარტება ახსნილია 22-ე პარაგრაფში.

22-ე პარაგრაფში წარმოდგენილია ინფორმაცია ამოსავალი მონაცემების, დაშვებების და წინასწარი შეფასების ხერხების თაობაზე, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის ახსნილია, როგორც იყენებს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

სხვა დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

I. თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული დავალიანებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, ნასესხები სახსრების და კრედიტორული დავალიანებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სასესხო, საიჯარო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

II.შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური ვალდებულებები ორ კატეგორიად იყოფა:

- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები;
- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

III. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

<u>ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა</u>

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

<u>სამართლიანი ღირებულების შეფასება</u>

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად ძირითად საშუალებებს, აფასებს სამართლიანი ღირებულებით საბალანსო უწყისის თითოეული თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება საბაზრო მონაცემები და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

ლიზინგის ვადის დასაწყისი

ლიზინგის ვადის დასაწყისი არის თარიღი, როდესაც ლიზინგის მიმღებს ეძლევა ლიზინგით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება. ეს არის ლიზინგის საწყისი აღიარების თარიღი.

სალიზინგო მოთხოვნები

თუ კომპანია არის ლიზინგის გამცემი ისეთ ლიზინგში, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ლიზინგის მიმღებს, ლიზინგით გადაცემული აქტივები აისახება, როგორც სალიზინგო მოთხოვნები და აღირიცხება სამომავლო სალიზინგო გადახდების დღევანდელი ღირებულებით. სალიზინგო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება საწყისი თარიღით (როდესაც იწყება ლიზინგის ვადა) ლიზინგის გაფორმების თარიღით (სალიზინგო ხელშეკრულების ვადასა და მხარეების მიერ ლიზინგის მთავარი პირობების შესრულების ვალდებულების აღების თარიღს შორის უადრესი) დადგენილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

სხვაობა მთლიან მოთხოვნებსა და მის დღევანდელ ღირებულებას შორის წარმოადგენს გამოუმუშავებელი ფინანსურ შემოსავალს. ამ შემოსავლის აღიარება ხდება ლიზინგის ვადის განმავლობაში ლიზინგში ნაგულისხმევი განაკვეთის გამოყენებით. დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ლიზინგზე მოლაპარაკებას და ლიზინგის გაფორმებას, აისახება ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს სალიზინგო ვადის განმავლობაში შემოსავლის ოდენობას. ლიზინგებიდან ფინანსური შემოსავალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. მარაგები ხარჯებად ტარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდის გამოყენებით.

იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდების და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის, რაც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

I. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები

კომპანია აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებს იჯარის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებს ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის კომპანიაზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები ასევე გაუფასურებას ექვემდებარება.

II. საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდელები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა კომპანიის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიას, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ცვლადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს. საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში გათვალისწინებული პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის.

III. მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12 ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგებაში ან ზარალში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, დაუმთავრებელი მშენებლობების გარდა, აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობა ფასდება თვითღირებულებით.

შენობა-ნაგებობები, გარდა მიმდინარე მშენებლობებისა, ექვემდებარება საკმარისი პერიოდულობით გადაფასებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ საბალანსო ღირებულებისაგან, რომელიც განისაზღვრებოდა რეალური ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გადაფასებისას მიღებული საბალანსო ღირებულების ზრდა მიეკუთვნება სხვა სრულ შემოსავალს და საკუთარ კაპიტალში ზრდის გადაფასების ნამეტს. ყველა დანარჩენი შემცირებები აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. საკუთარ კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში გადაიტანება მაშინ, როდესაც რეალიზდება გადაფასების რეზერვი, აქტივის ხმარებიდან ამოღების ან გასხვისების შედეგად.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია კომპანიის მიერ მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის

დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, სანამ არ გადააჭარბებს გადაფასების ნამეტს კაპიტალში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებაში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება/ზარალში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების მუხლებს ცვეთა ერიცხებათ მათი დამონტაჟების და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. შიდა მშენებლობის აქტივებთან დაკავშირებით, აქტივის გამოსაყენებლად მზად ყოფნის დღიდან (მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება). სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადანაწილებით მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო გამოყენების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასხვისებიდან - გასხვისებასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, როგორც იქნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

გაუფასურების მაჩვენებლების შეფასებისას, კომპანია იყენებს საბაზრო შედარების მეთოდს, რომლიც ეფუძნება შეფასების საგნის პირდაპირ შედარებას სხვა ობიექტთან, რომელიც გაიყიდა ან სავაჭრო რეესტრშია შესული, ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის კატეგორიებში, რომლებიც შეესაბამება გაუფასურებული აქტივის ფუნქციას, გარდა ადრე გადაფასებული ქონებისა, როდესაც გადაფასება სხვა სრულ შემოსავალში იყო გადატანილი. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარებაც სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

გადასახადები

<u>მიმდინარე მოგების გადასახადი</u>

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებად განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

<u>დამატებული ღირებულების გადასახადი</u>

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

<u>საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა</u>

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

3.3. ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში: სალიზინგო ვალდებულებები უკულიზინგის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (გამოცემული 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაში მყოფი 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილება უკავშირდება აქტივის უკულიზინგის პირობით გაყიდვის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ს მოთხოვნებს გაყიდვად აღრიცხვასთან დაკავშირებით. ცვლილება მოითხოვს, რომ გამყიდველმა-ლიზინგის მიმღებმა ოპერაციიდან წარმომდგარი ვალდებულებების შემდგომი შეფასება მოახდინოს იმგვარად, რომ არ აღიაროს შენარჩუნებული აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი. ეს ნიშნავს ამგვარი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულება გულისხმობს ცვლადი გადახდების შესრულებას, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად – ცვლილებები ბასს 1-ში (თავდაპირველად გამოშვებული 2020 წლის 23 იანვარს, შემდეგ შეცვლილი 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს და საბოლოოდ ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებები არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას. ვალდებულებები გრძელვადიანია, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სტანდარტით აღარ არის სავალდებულო, რომ ეს უფლება უპირობო იყოს. 2022 წლის ოქტომბრის ცვლილებამ დაადგინა, რომ სესხის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ მოქმედებს ვალის მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ვალდებულების დაფარვის უფლებას, არ მოქმედებს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. ვალდებულება მოკლევადიანად კლასიფიცირდება, თუ დაირღვევა რომელიმე პირობა საანგარიშგებო თარიღამდე ან საანგარიშგებო თარიღით მაშინაც კი, თუ კრედიტორისგან მიღებულია ამ პირობის დაკმაყოფილების მოთხოვნაზე უარი საანგარიშგებო პერიოდის გასვლის შემდეგ. ამავდროულად, სესხის კლასიფიცირება გრძელვადიანად ხდება მაშინ, თუ სესხის პირობა დაირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. ცვლილებები ასევე მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას ისეთი დავალიანების შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალად გარდაქმნით. „ვალდებულების დაფარვა“ განიმარტება, როგორც ვალდებულების გასტუმრება ფულადი სახსრებით, სხვა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსებით ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. კაპიტალად კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის დაშვებულია გამონაკლისი, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფციონი კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები: ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან (გამოშვებული 2023 წლის 25 მაისს და ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფინანსური გარიგებების შესახებ არასაკმარისი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების შეშფოთებაზე რეაგირების მიზნით, ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში და მოითხოვა ინფორმაციის გამჟღავნება საწარმოს მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების შესახებ. ეს ცვლილებები საწარმოებისგან მოითხოვს

მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ ამ გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკის მოცულობაზე. დამატებითი მოთხოვნების მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ცვლილებები არ აისახება აღიარების და შეფასების პრინციპებზე და მოქმედებს მხოლოდ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა (გამოშვებული 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაში შესული 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში რომ დახმარებოდა საწარმოებს ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის შეფასებაში და განესაზღვრა სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც არ არსებობდა ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა. საწარმოს ეს ცვლილება ეხება მაშინ, როდესაც მას აქვს გარიგება ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც სხვა ვალუტაში გადაცვლადი არ არის შეფასების თარიღისთვის კონკრეტული მიზნით. ბასს 21-ში შესული ცვლილებები დაწვრილებით მოთხოვნებს არ შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი. ამის ნაცვლად ისინი გვთავაზობენ ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება. სავალდებულოა შესაბამისი თანხების კონვერტაცია გამოთვლილი სპოტ სავალუტო კურსით სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის და გაუნაწილებელი მოგების ან დაგროვილი საკურსო სხვაობების რეზერვის დაკორექტირება.

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 30 მაისს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

2024 წლის 30 მაისს ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში, რათა:

(ა) განმარტოს გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღი, და ახალი გამონაკლისი დააწესოს ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც იფარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემით;

(ბ) განმარტოს და დააზუსტოს იმის შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (SPPI) კრიტერიუმს;

(გ) დაამატოს ახალი განმარტებითი შენიშვნები ზოგიერთი ინსტრუმენტისთვის, ისეთი სახელშეკრულებო პირობებით, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადები (კერძოდ, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომლის თვისებები მიბმულია გარემოს მიღწევებზე, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სამიზნე მაჩვენებლებზე); და

(დ) განაახლოს განმარტებითი შენიშვნები წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

წლიური გაუმჯობესებები ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში (გამოშვებული 2024 წლის ივლისში და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან).

ფასს 1-ით განიმარტა, რომ ჰეჯირება უნდა შეწყდეს ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებზე გადასვლისას, თუ ის არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის „მაკვალიფიცირებელ კრიტერიუმებს“ და არა „პირობებს“, რათა გადაჭრილიყო პოტენციური გაუგებრობა, რომელსაც წარმოშობდა არათანმიმდევრულობა ფასს 1-ის ფორმულირებასა და ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ფასს 9-ის მოთხოვნებს შორის. ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული აღიარების შეწყვეტით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის შესახებ, რომლებშიც საწარმოს აქვს შენარჩუნებული მონაწილეობა, მათ შორის სამართლიანი ღირებულების შეფასება მოიცავდა თუ არა „მნიშვნელოვან არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს“. ამ ახალმა ფრაზამ ჩაანაცვლა მინიშნება „მნიშვნელოვან ამოსავალ მონაცემებზე, რომლებიც არ ეყრდნობოდა ბაზრის ემპირიულ მონაცემებს“. ცვლილებას ფორმულირება შესაბამისობაში მოჰყავს ფასს 13-თან. გარდა ამისა, ფასს 7-ის დანერგვის გარკვეული სახელმძღვანელო მაგალითები განიმარტა და ტექსტი დაემატა, რომ მაგალითები შესაძლოა არ ასახავდეს ყველა მოთხოვნას, რომელსაც შეიცავს ფასს 7-ის დამოწმებული მუხლები. ფასს 16-ის ცვლილება აზუსტებს, რომ როდესაც ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს, რომ სალიზინგო ვალდებულება დაფარულია ფასს 9-ის შესაბამისად, ლიზინგის მიმღები ვალდებულია ფასს 9-ის სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით, ყოველგვარი შემოსულობა ან ზარალი აღიაროს მოგებაში ან ზარალში. დაზუსტება ვრცელდება იმ სალიზინგო ვალდებულებებზე, რომლებიც დაფარულია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების თარიღით ან მის შემდგომ, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას. ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, სავაჭრო მოთხოვნები ამჯერად თავდაპირველად უნდა აღიარდეს, როგორც „ფასს 15-ის გამოყენებით განსაზღვრული თანხა“, ნაცვლად „მათი გარიგების ფასისა (ფასს 15-ის განმარტების შესაბამისად)“. ფასს 10 იმგვარად შეიცვალა, რომ იყენებდეს ნაკლებად დასკვნით ენას, როდესაც საწარმო არის „დე ფაქტო რწმუნებული“ და განმარტოს, რომ ფასს 10-ის ბ74 პუნქტში აღწერილი ურთიერთობა მხოლოდ ერთი მაგალითია ისეთი გარემოებისა, რომელშიც განსჯა არის საჭირო იმის დასადგენად, არის თუ არა მხარე დე ფაქტო რწმუნებული. ბასს 7 ჩასწორდა, რათა წაშლილიყო მინიშნება „დანახარჯების მეთოდზე“, რომელიც 2008 წლის მაისში იქნა ამოღებული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებიდან, როდესაც ბასსს-მა გამოუშვა ცვლილება „შვილობილ საწარმოში, ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულში ან მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის დანახარჯი“.

ფასს 18 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2024 წლის 9 აპრილს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, ახალი სტანდარტი ფინანსური ანგარიშგების წარდგენასა და განმარტებითი შენიშვნებზე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოგება-ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. მთავარი ახალი ცნებები, რომელიც ფასს 18-მა შემოიტანა, უკავშირდება:

• მოგება-ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას;

• სავალდებულო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებებში გარკვეული მოგების ან ზარალის შედეგების შეფასებებისთვის, რომელთა ანგარიშგება ხდება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების გარეთ (ანუ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის შეფასებები); და

• გაფართოებულ პრინციპებს აგრეგირებასა და დეზაგრეგირებაზე, რომელიც ვრცელდება ძირითად პირველად ანგარიშგებებზე და, ზოგადად, განმარტებით შენიშვნებზე.

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს; ბევრი სხვა არსებული პრინციპი ბასს 1-იშ ნარჩუნდება, მცირედი ცვლილებებით. ფასს 18 არ მოახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებებში მუხლების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ მან შეიძლება შეცვალოს ის, თუ რას წარმოადგენს საწარმო თავის „საოპერაციო მოგებად ან ზარალად". ფასს 18 გავრცელდება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის ასევე ვრცელდება შესადარის ინფორმაციაზე.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოუშვა ახალი ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შვილობილი საწარმოებისთვის. ფასს 19 შესაბამის შვილობილ საწარმოებს უფლებას აძლევს გამოიყენონ ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ნაკლები განმარტებითი შენიშვნებით.

ფასს 19-ის გამოყენება შეამცირებს შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ხარჯს და ამავდროულად შეინარჩუნებს სასარგებლო ინფორმაციას მათი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. შვილობილი საწარმოები, რომლებიც ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს იყენებენ თავიანთი საკუთარი ფინანსური ანგარიშგებებისთვის, შეიძლება წარმოადგენდნენ განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც შეუსაბამოა მათი მომხმარებლების საინფორმაციო საჭიროებებთან. ფასს 19 ამ გამოწვევებს გადაჭრის შემდეგით:

• შვილობილი საწარმოებისთვის იმის უფლების მიცემა, რომ მხოლოდ აწარმოონ სააღრიცხვო ჩანაწერების მხოლოდ ერთი კომპლექტი – რათა დააკმაყოფილონ როგორც მშობელი საწარმოს, ასევე მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებები.

• უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები – ფასს 19 უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას იძლევა, რაც უკეთ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებებს.

ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან).

ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს იმაში, რომ უკეთ წარმოადგინონ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებების ფინანსური ეფექტები, რომლებიც ხშირად შედგენილია, როგორც ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებები (PPA). არსებული სააღრიცხვო მოთხოვნები შეიძლება სათანადოდ ვერ ასახავდეს იმას, თუ როგორ მოქმედებს ასეთი ხელშეკრულებები კომპანიის საქმიანობის შედეგებზე. იმისათვის, რომ კომპანიებს საშუალება მიეცეთ, უკეთ ასახონ ეს ხელშეკრულებები ფინანსურ ანგარიშგებებში, ბასსს-მა ცვლილებები შეიტანა ფასს 9-ში „ფინანსური ინსტრუმენტები" და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები. ცვლილებები მოიცავს შემდეგს: (ა) „საკუთარი მოხმარების" მოთხოვნების გამოყენების განმარტება, (ბ) გარკვეული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების შემსუბუქება, თუ ასეთი

ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებისთვის და (გ) ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნების დამატება, რაც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ რა გავლენას ახდენს ასეთი ხელშეკრულებები საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

მოსალოდნელი არ არის, რომ სტანდარტებში ცვლილებების მიღებას არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

<u>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება</u>

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა, რომელიც გულისხმობს მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას. რაც უფრო ხანგრძლივია პროგნოზირების ვადა, მით უფრო მეტი ხარისხით მონაწილეობს მასში ხელმძღვანელობის განსჯა და ეს განსჯა შესაძლოა გახდეს განუსაზღვრელობის წყარო. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია დაწვრილებით არის განხილული 22-ე პარაგრაფში. საკრედიტო რისკის რეზერვზე შემდეგ კომპონენტებს აქვს დიდი გავლენა: დეფოლტის განმარტება, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის განმარტება, დეფოლტის ალბათობა, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება და დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში, და ასევე მაკროეკონომიკურ სცენარებს. კომპანია რეგულარულად გადახედავს და ამტკიცებს ამ სცენარებს, რათა შემცირდეს ყოველგვარი სხვაობა დეფოლტის ალბათობასა და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების პარამეტრებს შორის, რომლებიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

<u>დეფოლტის განმარტებაში გამოყენებული კრიტერიუმების განსაზღვრისას გამოყენებული განსჯა</u>

კომპანია დეფოლტს განმარტავს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით. კლიენტი კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი, თუ: ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვები 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, თუ დავალიანება რეკლასიფიკაციისას მიიჩნევა ფინანსურად დასუსტებულად, ან სხვა ფაქტორები მიუთითებს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი. დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ წარმოდგენილია 22-ე პარაგრაფში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის განსაზღვრისას გამოყენებული განსჯა

კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ასეთია: 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დავალიანება, რესტრუქტურიზებული დავალიანება ფინანსურად დასუსტებულის გარდა, ადრე დეფოლტის სიტუაციაში მყოფი დავალიანებების გამოსაცდელი ვადა. დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ წარმოდგენილია 22-ე პარაგრაფში.

ფინანსური იჯარა და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია იყენებს განსჯას, რათა განსაზღვროს ფინანსური აქტივების და საიჯარო აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და უკუგება არსებითად არის თუ არა გადაცემული პარტნიორებზე, კერძოდ რომელი რისკები და უკუგებაა ყველაზე მნიშვნელოვანი და რა არის არსებითად ყველა რისკი და უკუგება.

აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა

იჯარის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს იჯარის პერიოდის გაგრძელების შესაძლებლობის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის შესაძლებლობის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შესაძლებლობის შემდგომი პერიოდი) იჯარის პერიოდში მხოლოდ იმ შემთხვევაში არის გათვალისწინებული, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

დისკონტირების განაკვეთები, რომელიც გამოყენებულია იჯარის ვალდებულებების განსასაზღვრად

კომპანია იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს, იმიტომ, რომ საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ნაგულისხმევია იჯარაში, მარტივად ვერ განისაზღვრება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2024	**2023**
	ლარი	ლარი
GPS მომსახურების ანაზღაურება	1,743,337	1,085,641
შემოსავალი საკომისიოებიდან	1,693,875	1,069,174
ჯარიმიდან მიღებული შემოსავალი	1,391,028	812,456
ქონების გადასახადის ანაზღაურება	393,818	261,937
აქტივის რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი	23,074	6,935
	5,245,132	**3,236,143**

6. პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები

	2024	**2023**
	ლარი	ლარი
GPS მომსახურება	590,614	511,547
სხვა სალიზინგო დანახარჯები	75,674	80,848
მონაცემთა ბაზით სარგებლობის ხარჯი	51,947	51,177
ქონების გადასახადი სალიზინგო აქტივებზე	-	8,657
	718,235	**652,229**

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	**2023**
	ლარი	ლარი
პერსონალის შენახვის ხარჯები	3,111,373	2,341,132
მარკეტინგული ხარჯი	762,686	825,424
ქონების გადასახადის ხარჯი	396,954	337,447
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	151,570	169,444
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	143,507	126,422
სხვა საგადასახადო ხარჯი	139,000	155,347
იჯარის ხარჯი	135,888	98,245
კომუნალური ხარჯი	92,556	88,097
მივლინების ხარჯი	51,496	42,370
საკონსულტაციო ხარჯი	41,816	35,693
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	17,155	16,603
რემონტის ხარჯი	3,552	3,520
უიმედო მოთხოვნების კორექტირება	(11,751)	52,036
სხვა	112,773	69,596
	5,148,575	**4,361,376**

8. ფინანსური ხარჯები

	2024	2023
	ლარი	ლარი
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	2,368,710	2,131,609
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	3,216	10,802
	2,371,926	**2,142,411**

2024 და 2023 წლების საპროცენტო ხარჯები სესხებზე მთლიანად მოდიოდა დაკავშირებულ მხარეებზე.

9. არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
	ლარი	ლარი
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის შედეგი	3,173,576	2,059,516
საპროცენტო შემოსავალი	58,416	51,952
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(100,722)	(23,535)
	3,131,270	**2,087,933**

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს რეზიდენტ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს.

11. სალიზინგო მოთხოვნები

მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში და ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები:

	2024	2023
	ლარი	ლარი
ბრუტო ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	**50,358,080**	**37,101,934**
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(22,076,390)	(16,952,287)
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)	**28,281,690**	**20,149,647**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,189,098)	(258,683)
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	**27,092,593**	**19,890,964**

*გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი მოიცავს ლიზინგის მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღებ საპროცენტო შემოსავალს.

ცხრილში წარმოდგენილია ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში ვადიანობის მიხედვით:

	2024	**2023**
	ლარი	ლარი
1 წლის განმავლობაში დასაფარი	2,847,400	1,649,851
1-2 წელში დასაფარი	7,109,789	4,856,395
2-3 წელში დასაფარი	12,280,106	9,522,593
3-4 წელში დასაფარი	11,741,293	6,765,123
4-5 წელში დასაფარი	15,248,989	11,205,962
5-ზე მეტ წელში დასაფარი	1,130,503	3,102,010
ბრუტო ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	**50,358,080**	**37,101,934**
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(22,076,390)	(16,952,287)
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,189,098)	(258,683)
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	**27,092,593**	**19,890,964**

ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო ზარალის რეზერვისა და მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულების ცვლილებები საანგარიშგებო პერიოდის საწყის და საბოლოო თარიღებს შორის:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				**მთლიანი საბალანსო ღირებულება**			
	ლარი				ლარი			
	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრე დიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	**სულ**	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრე დიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	**სულ**
2023 პერიოდის დასაწყისში	**2,288**	**5,825**	**23,843**	**31,956**	**7,761,958**	**367,312**	**201,521**	**8,330,792**
შიდა გადაცემები:								
12-თვიან საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)	960	(631)	(330)	**-**	250,300	(164,386)	(85,915)	**-**
არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)	(1,323)	1,323	-	**-**	(344,834)	344,834	-	**-**
საკრედიტო რისკით გაუფასურებულში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)	(2,383)	(656)	3,038	**-**	(621,162)	(170,958)	792,119	**-**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	500,448	23,993	13,401	**537,843**	26,087,444	1,250,700	698,588	**28,036,731**
შემცირებული პერიოდის განმავლობაში	(291,047)	(8,875)	(10,201)	**(310,122)**	(15,171,729)	(462,622)	(531,737)	**(16,166,089)**
ჩამოწერა	(961)	-	(32)	**(993)**	(50,097)	-	(1,691)	**(51,788)**
2023 პერიოდის ბოლოს	**207,983**	**20,979**	**29,720**	**258,683**	**17,911,881**	**1,164,880**	**1,072,886**	**20,149,647**

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				**მთლიანი საბალანსო ღირებულება**			
	ლარი				ლარი			
	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრე დიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	**სულ**	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრე დიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	**სულ**
2023 პერიოდის ბოლოს	**207,983**	**20,979**	**29,720**	**258,683**	**17,911,881**	**1,164,880**	**1,072,886**	**20,149,647**
შიდა გადაცემები:								
12-თვიან საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)	7,486	(5,707)	(1,779)	**-**	583,143	(444,538)	(138,606)	**-**
არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)	(7,928)	8,021	(93)	**-**	(617,538)	624,820	(7,282)	**-**
საკრედიტო რისკით გაუფასურებულში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)	(15,312)	(8,460)	23,772	**-**	(1,192,684)	(658,993)	1,851,677	**-**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	4,169,828	176,183	144,946	**4,490,956**	36,445,262	1,539,877	1,266,859	**39,251,999**
შემცირებული პერიოდის განმავლობაში	(3,358,715)	(88,716)	(101,097)	**(3,548,528)**	(29,355,948)	(775,398)	(883,612)	**(31,014,959)**
ჩამოწერა	(10,648)	(664)	(701)	**(12,013)**	(93,069)	(5,800)	(6,128)	**(104,997)**
2024 პერიოდის ბოლოს	**992,694**	**101,637**	**94,767**	**1,189,098**	**23,681,048**	**1,444,848**	**3,155,794**	**28,281,690**

- შიდა გადაცემები ხდება 1-ელ, მე-2 და მე-3 სტადიებს შორის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (ან შემცირების) ან დავალიანების მოცულობის დეფოლტის სიტუაციაში აღმოჩენის გამო პერიოდის განმავლობაში და, შესაბამისი „გაუმჯობესება“ (ან „გაუარესება“) 12-თვიან და არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს შორის.
- „ახალი წარმოშობილი ან შეძენილი“ გვაძლევს ინფორმაციას გაცემული ლიზინგებისა და პერიოდის განმავლობაში შექმნილი საკრედიტო ზარალის შესაბამისი რეზერვის შესახებ (თუმცა, მათში არ შედის დავალიანებები, რომლებიც გაიცა და დაიფარა პერიოდის განმავლობაში).
- „შემცირებული პერიოდის განმავლობაში“ გულისხმობს ლიზინგების და საკრედიტო ზარალის რეზერვის ნაშთს პერიოდის დასაწყისში, რომლებიც მთლიანად დაიფარა პერიოდის განმავლობაში.
- „ჩამოწერები“ გულისხმობს პერიოდის განმავლობაში ლიზინგების ჩამოწერას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასეთია:

	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრე დიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	**სულ**
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების რისკის კატეგორია:				
ძალიან დაბალი რისკი	22,028,233			**22,028,233**
დაბალი რისკი	1,652,814			**1,652,814**
საშუალო რისკი		975,653		**975,653**
მაღალი რისკი		469,196		**469,196**
დეფოლტი			3,155,794	**3,155,794**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**23,681,047**	**1,444,849**	**3,155,794**	**28,281,690**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(57,238)	(147,614)	(984,246)	**(1,189,098)**
საბალანსო ღირებულება	**23,623,809**	**1,297,235**	**2,171,548**	**27,092,593**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასეთია:

	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრე დიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	**სულ**
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების რისკის კატეგორია:				
ძალიან დაბალი რისკი	16,966,083			**16,966,083**
დაბალი რისკი	945,798			**945,798**
საშუალო რისკი		824,482		**824,482**
მაღალი რისკი		340,398		**340,398**
დეფოლტი			1,072,886	**1,072,886**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**17,911,881**	**1,164,880**	**1,072,886**	**20,149,647**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(8,548)	(26,564)	(223,571)	**(258,683)**
საბალანსო ღირებულება	**17,903,333**	**1,138,316**	**849,315**	**19,890,964**

12. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2024	**2023**
	ლარი	ლარი
მოთხოვნა - ჯარიმა	154,483	87,462
მოთხოვნა - GPS მომსახურება	125,986	88,999
მოთხოვნები ადმინისტრაციული ჯარიმებიდან	109,795	-
საგადახდო სატერმინალო მოთხოვნები	65,041	92,832
მოთხოვნა - საკომისიო	37,404	24,326
მოთხოვნა - ქონების გადასახადი	1,007	9,537
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	1,034
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანარიცხები	(53,550)	-
	440,166	**304,190**

13. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას, როგორც მოიჯარეს, ერთი მნიშვნელოვანი იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რომლის მიხედვითაც 2021 წლის დეკემბრიდან იჯარით გადაეცა საოფისე ფართი 3 წლის ვადით.

საბალანსო ღირებულება 01.01.2023		
ცვეთის ხარჯი 2023		
საბალანსო ღირებულება 31.12.2023		
ცვეთის ხარჯი 2024		
საბალანსო ღირებულება 31.12.2024		

	2024	**2023**
	ლარი	ლარი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	105,046
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	**-**	**105,046**

14. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება:				
2023 წლის 1 იანვარს	**7,100**	**107,346**	**85,583**	**200,029**
დამატებები	-	31,766	11,353	**43,119**
გასვლები	-	(1,292)	(2,702)	**(3,994)**
2023 წლის 31 დეკემბერს	**7,100**	**137,820**	**94,234**	**239,154**
დამატებები	36,000	6,838	10,659	**53,497**
გასვლები	(25,100)	(2,695)	(2,611)	**(30,406)**
2024 წლის 31 დეკემბერს	**18,000**	**141,963**	**102,282**	**262,245**
დაგროვილი ცვეთა:				
2023 წლის 1 იანვარს	**525**	**9,874**	**9,074**	**19,473**
ცვეთის ხარჯი	1,280	19,157	12,021	**32,458**
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	(157)	**(157)**
2023 წლის 31 დეკემბერს	**1,805**	**29,031**	**20,938**	**51,774**
ცვეთის ხარჯი	3,295	21,083	13,036	**37,414**
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	(2,254)	(1,033)	(782)	**(4,069)**
2024 წლის 31 დეკემბერს	**2,846**	**49,081**	**33,192**	**85,119**
საგალანსო ღირებულება:				
2023 წლის 1 იანვარს	**6,575**	**97,472**	**76,509**	**180,556**
2023 წლის 31 დეკემბერს	**5,295**	**108,789**	**73,296**	**187,380**
2024 წლის 31 დეკემბერს	**15,154**	**92,882**	**69,090**	**177,125**

15. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პატენტებსა (სახელი "დიზი") და კომპიუტერულ პროგრამებს.

16. კრედიტორული დავალიანება

	2024	2023
	ლარი	ლარი
მიღებული ავანსები	78,173	99,060
ვალდებულებები იურიდიულ პირებთან	59,318	72,649
ვალდებულებები ფიზიკური პირებთან	51,242	70,228
ვალდებულებები სადაზღვეო კომპანიებთან	39,364	15,986
ვალდებულებები არარეზიდენტებთან	20,498	-
	248,595	**257,923**

17. სასესხო ვალდებულებები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	2024	2023
			ლარი	ლარი
<u>მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
სესხები უცხოური საწარმოებისგან	EUR	8%	-	743,789
სესხები უცხოური საწარმოებისგან და ფიზ. პირებისგან	RUB	13.5%	-	26,924
			-	**770,713**
<u>გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
სესხები უცხოური საწარმოებისგან და ფიზ. პირებისგან	RUB	13.5-16%	15,400,511	15,308,018
სესხები უცხოური საწარმოებისგან	USD	3.5-5%	58,831	56,370
			15,459,342	**15,364,388**

2024 და 2023 წლების სასესხო ვალდებულებები მთლიანად მოდიოდა დაკავშირებულ მხარეებზე.

18. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
	ლარი	ლარი
გადასახდელი ხელფასი	32,501	28,340
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	2,425	10,000
საპენსიო შენატანი	1,548	2,218
გადასახდელი პროცენტი	-	46,331
	36,474	**86,889**

19. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებზე დარიცხულ პროცენტებს, რომელიც უნდა დაიფაროს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეზე მეტ ვადაში.

2024 და 2023 წლების საპროცენტო ვალდებულებები მთლიანად მოდიოდა დაკავშირებულ მხარეებზე.

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	მთავარი ხელმძღვანელობა	**სხვა დაკავშირებული მხარეები**
	ლარი	ლარი
2024		
სესხის მიღება	-	2,946,281
მიღებული სესხის დაბრუნება	-	976,950
საპროცენტო ხარჯები	-	2,372,354
სახელფასო ხარჯები	267,259	-
სასესხო ვალდებულებები	-	15,459,342
საპროცენტო ვალდებულებები	-	3,699,523

	მთავარი ხელმძღვანელობა	**სხვა დაკავშირებული მხარეები**
	ლარი	ლარი
2023		
სესხის მიღება	-	8,926,665
მიღებული სესხის დაბრუნება	-	235,347
საპროცენტო ხარჯები	-	2,128,784
სახელფასო ხარჯები	419,046	-
სასესხო ვალდებულებები	-	16,135,101
საპროცენტო ვალდებულებები	-	2,217,622

21. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

22. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ, რაც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკი კომპანიას ექმნება ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებების გაფორმებისას. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს.

კომპანია, როგორც წესი, ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებებს ისე აყალიბებს, რომ ლიზინგის მიმღები იხდის ავანსს აქტივების შესყიდვის ფასის მინიმუმ 10%-ის ოდენობით ლიზინგის ხელშეკრულების დასაწყისში. კომპანია საკუთრების უფლებს ფლობს სალიზინგო აქტივებზე

ლიზინგის ვადის განმავლობაში. ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებით გადაცემულ აქტივებზე საკუთრების უფლება ამ სახელშეკრულებო ვადების დასრულების შემდეგ, როდესაც სრულად დაიფარება ვალდებულება, ლიზინგის მიმღებებს გადაეცემა.

სალიზინგო აქტივებთან დაკავშირებული რისკები, როგორიცაა სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანება, ქურდობა და სხვა ყოველთვის დაზღვეულია. ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს ლიზინგის მიმღებების ფინანსურ მდგომარეობას მათი ფინანსური ანგარიშების გაანალიზებით. მთავარი ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს იმის დასადგენად, ლიზინგი გაუფასურებულია თუ არა, არის მისი ვადაგადაცილებული სტატუსი, ლიზინგის მიმღების ფინანსური შედეგები და ლიკვიდურობა და სალიზინგო აქტივის ღირებულება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციისთვის შექმნილი ანარიცხები საკმარისია იმისათვის, რომ შთანთქას საანგარიშგებო თარიღისთვის სალიზინგო პორტფელში არსებული პოტენციური ზარალი.

<u>საკრედიტო ხარისხი</u>

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება საკრედიტო ხარისხის კატეგორიებად, ერთდროულად შიდა და გარე საკრედიტო ხარისხის ინფორმაციის გათვალისწინებით (მაგ. ვადაგადაცილება). კომპანია შემდეგ საკრედიტო რისკის საფეხურებს განსაზღვრავს:

- ძალიან დაბალი რისკი - ვადაგადაცილება არ არის;
- დაბალი რისკი - ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატებოდა 30 დღეს და სესხს სრულად ფარავს უზრუნველყოფა;
- საშუალო რისკი - ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატებოდა 60 დღეს ან სესხი რესტრუქტურიზებულ იქნა 1 წელზე დიდი ხნის წინ;
- მაღალი რისკი - ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატებოდა 90 დღეს ან სესხი რესტრუქტურიზებულ იქნა 1 წელზე დიდი ხნის წინ;
- დეფოლტი - ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება 90 დღეზე მეტია ან სესხმა ბოლო 12 თორმეტი თვის განმავლობაში განიცადა რესტრუქტურიზაცია.

<u>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება</u>

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის სამომავლო ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია იყენებს ოთხ კომპონენტს:

- დეფოლტის ალბათობა (“PD”);
- დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (“EAD”);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) და
- დისკონტირების განაკვეთი.

ამ შეფასებებში ითვალისწინებენ პერსპექტიულ ინფორმაციას, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია მიმართავს სამი სტადიის მოდელს: კომპანია თავის ლიზინგის ოდენობას პირველ სტადიას მიაკუთვნებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა და ინსტრუმენტი არ იყო საკრედიტო რისკით გაუფასურებული საწყისი აღიარებისას. დავალიანების ოდენობა მეორე სტადიას მიეკუთვნება, თუ საწყისი აღიარების შემდეგ დაფიქსირდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად. დავალიანების

ოდენობა, რომელზეც გამოვლენილია საკრედიტო რისკით გაუფასურების ნიშნები, მიეკუთვნება მესამე სტადიის ინსტრუმენტებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება დავალიანების ოდენობის ერთ-ერთი სტადიისთვის მიკუთვნების მიხედვით. პირველი სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეწეროს საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში დამდგარ დეფოლტის მოვლენებს. მეორე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ანუ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება მიეწეროს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში. როგორც წესი, არსებობის ვადა უდრის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადას. მესამე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თანხების მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

<u>საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა</u>

კომპანია თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისა და ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, ხომ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშანი). საკრედიტო რისკის ზრდის შეფასებისას კომპანია შემდეგი ფაქტორების მონიტორინგს ახდენს: ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა, რესტრუქტურიზაცია და გამოსაცდელი ვადა დეფოლტის სიტუაციაში არსებული ლიზინგებისთვის.

<u>დეფოლტის კრიტერიუმები</u>

კომპანია დეფოლტის კრიტერიუმებად განიხილავს შემდეგ ფაქტორებს:

- 90 ვადაგადაცილებული დღე;
- ფინანსურად დასუსტებული დავალიანების რესტრუქტურიზაცია - ფინანსურად დასუსტებულად ან „ცუდ“ რესტრუქტურიზაციად კლასიფიცირებული დავალიანება;
- გადახდის პერსპექტივის გარეშე - დავალიანება დეფოლტის სიტუაციაში მყოფად ჩაითვლება, თუ კომპანიის ფინანსური სიჯანსაღის გაუარესება დადგინდება კომპანიის მონაცემების და/ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ფინანსური ინფორმაციის გაანალიზებით.

<u>დეფოლტის ალბათობა</u>

დეფოლტის ალბათობის პარამეტრი აღწერს ინსტრუმენტის დეფოლტის დადგომის ალბათობას გარკვეული დროის პერიოდში. იგი აფასებს იმის ალბათობას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაფარვას. დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისთვის, კომპანია ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას და იყენებს დეფოლტის განაკვეთებს.

<u>ზარალი დეფოლტის შემთხვევაში</u>

დეფოლტის შემთხვევაში ზარალის პარამეტრი წარმოადგენს დავალიანების მოცულობის წილს, რომელიც სამუდამოდ (აუნაზღაურებლად) დაიკარგება, თუ მსესხებელი აღმოჩნდება დეფოლტის სიტუაციაში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების წილს საანგარიშგებო თარიღისთვის, რომლის ამოღება არ მოხდება ამ ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასება ხდება ისტორიული ზარალების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

	2024	**2023**
	ლარი	ლარი
სალიზინგო მოთხოვნები	27,092,593	19,890,964
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	440,166	304,190
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,433,542	409,886
	28,966,300	**20,605,040**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.
ფინანსური ვალდებულებები:

	2024		
	12 თვემდე	**12 თვეზე მეტი**	**სულ**
	ლარი	ლარი	ლარი
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-
სასესხო ვალდებულებები	-	15,459,342	15,459,342
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	3,699,523	3,699,523
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	36,474	-	36,474
კრედიტორული დავალიანება	170,422	-	170,422
	206,896	**19,158,865**	**19,365,761**

	2023		
	12 თვემდე	**12 თვეზე მეტი**	**სულ**
	ლარი	ლარი	ლარი
საიჯარო ვალდებულებები	105,046	-	105,046
სასესხო ვალდებულებები	770,713	15,364,388	16,135,101
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	2,175,950	2,175,950
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	86,889	-	86,889
კრედიტორული დავალიანება	158,863	-	158,863
	1,121,511	**17,540,338**	**18,661,849**

<u>საბაზრო რისკი</u>

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

	აშშ დოლარი	ევრო	რუბლი	ლარი	სულ
31.12.2024					
ფინანსური აქტივები:	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	**ლარი**
სალიზინგო მოთხოვნები	31,921	-	-	27,060,672	**27,092,593**
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-	-	440,166	**440,166**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	18,443	1,415,099	**1,433,542**
	31,921	**-**	**18,443**	**28,915,936**	**28,966,300**
ფინანსური ვალდებულებები:					
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-	-	**-**
სასესხო ვალდებულებები	58,831	-	15,400,511	-	**15,459,342**
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-	3,699,523	**3,699,523**
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8,107	-	3,691,416	(3,663,049)	**36,474**
კრედიტორული დავალიანება	-	-	-	170,422	**170,422**
	66,938	**-**	**19,091,927**	**206,896**	**19,365,761**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(35,017)**	**-**	**(19,073,484)**	**28,709,040**	**9,600,539**

	აშშ დოლარი	ევრო	რუბლი	ლარი	სულ
31.12.2023					
ფინანსური აქტივები:	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სალიზინგო მოთხოვნები	-	-	-	19,890,964	19,890,964
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-	-	304,190	304,190
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	30,448	379,438	409,886
	-	**-**	**30,448**	**20,574,592**	**20,605,040**
ფინანსური ვალდებულებები:					
საიჯარო ვალდებულებები	105,046	-	-	-	105,046
სასესხო ვალდებულებები	56,370	743,789	15,334,942	-	16,135,101
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4,988	-	2,166,302	4,659	2,175,950
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-	86,889	86,889
კრედიტორული დავალიანება	22	-	-	158,841	158,863
	166,426	**743,789**	**17,501,244**	**250,389**	**18,661,849**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(166,426)**	**(743,789)**	**(17,470,796)**	**20,324,203**	**1,943,191**

23. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლნებებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 აგვისტოს.

დირექტორი: სერგეი ტიბეცი _____

23. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 აგვისტოს.

დირექტორი: სერგეი ტიბეცი _____



შპს დიზი

436048778

მმართველობის ანგარიშგება
2024

1. დაარსების ისტორია და საქმიანობის მიმოხილვა

შპს "დიზი" (შემდგომში - “კომპანია”) დარეგისტრირდა საქართველოში 2021 წლის სექტემბრიდან და ფაქტიური საოპერაციო საქმიანობა 2022 წლიდან დაიწყო. მისი დამფუძნებლები წარმოადგენენ ბელორუსიის და რუსეთის მოქალაქეებს მათ შორის წილობრივი ურთიერთობა ნაწილდება შემდეგნაირად:

ბელორუსიის მოქალაქე -91%

რუსუთის მოქალაქე - 9 %

შპს დიზი ახალგაზრდა კომპანიაა მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას რომ ქვეყანაში მაღალი ცნობადობა მოიპოვა, რაც საწინდარია იმისა, რომ მომავალში შესაძლებელია სერიოზული კონკურენცია გაუწიოს მსგავსი სახის კომპანიებს.

კომპანიას ძირითადი საქმიანობა წარმოადენს საქართველოში მსუბუქი ავტომობილების უკუიჯარისა და ფინანსური იჯარით მომსახურების გაწევა-30 000 ლარამდე ოდენობით, ხუთწლიანი ვადით.

კომპანია უზრუნველყოფს სწრაფ და მოსახერხებელ მომსახურებას საქართველოში ამ ეტაპზე მხოლოდ ფიზიკურ პირებზე და სთავაზობს მათ ავტომობილების ფინანსურ იჯარისა და უკუიჯარას. ორივე შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება გირაოს სახით და შესაბამისად კომპანიის მიერ გაცემული ყველა სესხი არის უზრუნველყოფილი.

დაფინანსება შეთავაზებულია კლიენტთა მომსახურების ცენტრებში. 2022 წლის ბოლოსთვის აქტიური კლიენტების რაოდენობა შეადგენდა- 969, 2023 წელს -2106, ხოლო 2024 წლის ბოლოს-2604.

კომპანიის მიზანია მის მომხმარებლებს შესთავაზოს ადვილად ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი უკუიჯარის და ფინანსური იჯარის გადაწყვეტილებები.

ამ მიზნის მისაღწევად, თავის მომხმარებლებს სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა გადაწყვეტილებებს, ასევე მაღალი დონის მომსახურებას და ხელმისაწვდომობას.

კომპანია პირდაპირ თანამშრომლობს ავტომობილების დილერების ფართო ქსელთან, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ მანქანა კომპანიისაგან დაფინანსების მიღების გზით.

კომპანიას 2024 წლის ბოლოს აქვს კლიენტებთან მომსახურების ცენტრები საქართველოს მასშტაბით საიდანაც:

ქალაქ თბილისში -4 მომსახურების ცენტრია;

ქალაქ ბათუმში -2
ქალაქ ქუთაისში-1
ქალაქ რუსთავში-2

2. მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

კომპანიის მისიაა ფასის და წვდომის მხრივ ადვილად ხელმისაწვდომი სალიზინგო მომსახურების შეთავაზება მისი კლიენტებისთვის, რომელთაც სჭირდებათ დაფინანსების მიღების სწრაფი და მარტივი გზა, ავტომობილის შესაძენად.

ხედვა

კომპანიის ხედვაა იყოს ბაზრის წამყვანი, მომხმარებლებისთვის მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი. საქართველოში უკუიჯარისა და ფინანსური იჯარის გადაწყვეტილებების მომსახურების ფართო არჩევანი შესთავაზოს მომხმარებლებს.

მიზანი

კომპანიის მიზანია გაზარდოს სალიზინგო პორტფელის მოცულობა, შეინარჩუნოს სალიზინგო ბაზარზე წამყვანი პოზიციები. მაქსიმალურად მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი გახადოს მისი პროდუქტები არსებული მომხმარებლებისთვის, რათა არ მოხდეს მათი გადინება კონკურენტებთან. ასევე, კომპანიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია პორტფელის ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

შპს დიზი მუდმივად ცდილობს გააფართოვოს მისი პროდუქტების სპექტრი და მუდმივად ზრუნავდეს პარტნიორ ღირებულებებზე.

- სწრაფი დახმარება ზედმეტი ფორმალობების გარეშე - კომპანია უზრუნველყოფს საჭირო დაფინანსებას რამდენიმე საათის განმავლობაში;
- ღია კომუნიკაცია და ადაპტაცია - კომპანიის ძირითადი ღირებულებაა ღია კომუნიკაცია და ინდივიდუალური მიდგომა თითოეული მომხმარებლის მიმართ, რაც ურთიერთსასარგებლო შედეგს იძლევა ყველა სიტუაციაში;
- გრძელვადიანი ურთიერთობა - კომპანია აფასებს და ქმნის ურთიერთსასარგებლო გრძელვადიან ურთიერთობას ყველა თავის მომხმარებელთან, და მიესალმება უკუკავშრს მომხმარებლების მხრიდან.

კომპანიისთვის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს თანამშრომლებზე ზრუნვა და მათთვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა. 2023 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 43-ს, აქედან 77 % იყო ქალი და 23 % კაცი. 2024 წლის ბოლოსთვის-44, აქედან 71 % იყო ქალი და 29 % კაცი. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს კომპანიის, როგორც სტაბილურ დამსაქმებელზე.
კომპანია წლის განმავლობაში ცდილობს, სხვადასხვა აქტივობებით წაახალისოს თანამშრომლები, აღნიშნოს დღესასწაულები და იზეიმოს გამარჯვებები.

წლის განმავლობაში სტაბილურად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვები/ტრენინგები, რათა სამუშაო გარემო და პირობები იყოს მაქსიმალურად მიმზიდველი და კონკურენტული. ასევე თანამშრომელთა მეტი მოტივაციისთვის აქვს დამტკიცებული საბონუსე სისტემა.
სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

3. ოპერაციები და ფინანსური შედეგები

კომპანია 2024 წლის ფინანსური შედეგების მიხედით- მთლიანი აქტივები შეადგენს 29,24 მილიონ ლარს (39%-ით გაიზარდა 2023 წლის ფინანსურ შედეგებთან შედარებით).
საპროცენტო შემოსავალი - 8,46 მილიონ ლარს შეადგენდა რაც 35 % ზრდაა წინა 2023 წელთან შედარებით.
ხოლო წმინდა მოგება შეადგენს - 7,67 მილიონ ლარს რაც ასევე 15%-იანი ზრდას გვიჩვენებს 2023 წელთან შედარებით.
2024 წლის სალიზინგო მოთხოვნები წინა 2023 წლის სალიზინგო მოთხოვნებთან შედარებით 36% -ით არის გაზრდილი თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც რომ კლიენტებისგან მიღებული თანხები კორელაციაში არ მოდის გაზრდილ მოთხოვნებთან.

საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად კომპანია იყენებს სოციალური ქსელების რეკლამას Facebook, Instagram და სხვა. მიმდინარეობს მიზნობრივი სარეკლამო კამპანიები მომხმარებელთა ინტერესების, ლოკაციის და დემოგრაფიის მიხედვით, ასევე რადიო რეკლამას რომლის მიზანია ფართო აუდიტორიისათვის ინფორმირება და ბრენდის ცნობადობის გაზრდა, Myauto-ზე სარეკლამო ბანერის განთავსება რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა ჩვენი პროდუქტის სამიზნე აუდიტორიას. ასევე ვიყენებთ მარკეტინგული კამპანიების მომსახურება სხვადასხვა ტიპის შეთავაზებებით.

4. სხვა ინფორმაცია

რისკების მართვის საქმიანობები კომპანიაში ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებაში.
ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასის რისკები), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით.
აღნიშნული რისკების იდენთიფიცირებისთვის, ანალიზის, და კონტროლის მექანიზმის განსაზღვრისთვის რეგულარულად ხდება კომპანიის მიერ რისკების პოლიტიკების და სისტემებისს გადახედვა.

5. ფინანსური რისკები

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი ძირითადი ფინანსური რისკებია: ლიკვიდურობის რისკი, სავალუტო რისკი და საკრედიტო რისკი.

კომპანია არ ექვემდებარება არსებით საკრედიტო რისკს ნებისმიერი ცალკეული კონტრაგენტის ან მსგავსი მახასიათებლების მქონე კონტრაგენტების ჯგუფის მიმართ.

debt to equity ratio 2024 წლის 31 დეკემბრისათვის 1,62 (შედარებისთვის, 2023 წლის 31 დეკემბრისათვის 8,31-ს შეადგენდა), რაც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია ფინანსური რისკი საკმაოდ გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის რისკის მართვისადმი არის, შესაძლებლობის ფარგლებში, იმის უზრუნველყოფა, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. აღნიშნული გამორიცხავს ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მაგალითად სტიქიური უბედურებები ან გლობალური პანდემია 2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის quick ratio 3,5 (2023 წლის 31 დეკემბრისათვის 0,48 იყო),რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მაჩვენებელია წინა წელთან შედარებით კომპანია სავალუტო რისკს ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია კომპანიის ფინანსური აქტივები (რაც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს), და მის სესხებს შორის, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი.

6. საოპერაციო რისკები

კომპანია საოპერაციო რისკები იმართება სესხის გაცემის პროცესში რისკების ანაზღაურების წარმატებული პროცედურების და ასევე ვალების ამოღების ეფექტური პროცედურებით. კომპანია რეგულარულად ასწორებს/აუმჯობესებს საიჯარო პოლიტიკას და დავალიანების ამოღების/შეგროვების პროცედურებს პორტფელის ხარისხის გაუარესების შესამცირებლად.

იმისათვის, რომ მუდმივად ხდებოდეს პორტფელის ხარისხის კონტროლი, დანერგილია მთელი რიგი პროცედურები/რეპორტები, რომლის მიხედვითაც ყოველდღიურ რეჟიმში დეტალურად მოწმდება უკვე გაცემული თუ გასაცემი სალიზინგო პორტფელი, გამოიყენება სხვადასხვა კოეფიციენტები და რომელიმეს დარღვევის შემთხვევაში მყისიერად ხდება პროცესების ცვლილება/გაუმჯობესება. სამუშაო პროცესში ჩართულ თითოეულ დეპარტამენტს გააჩნია ყოველკვარტალური KPI, რომლის შესრულებას დიდი ყურადღება ექცევა და მაქსიმალურად ხდება მათი დროში კონტროლი. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 19 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: სერგეი ტიბეცი
მთავარი ბუღალტერი: ლელა წამალაიძე

კომპანია არ ექვემდებარება არსებით საკრედიტო რისკს ნებისმიერი ცალკეული კონტრაგენტის ან მსგავსი მახასიათებლების მქონე კონტრაგენტების ჯგუფის მიმართ.

debt to equity ratio 2024 წლის 31 დეკემბრისათვის 1,62 (შედარებისთვის, 2023 წლის 31 დეკემბრისათვის 8,31-ს შეადგენდა), რაც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია ფინანსური რისკი საკმაოდ გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის რისკის მართვისადმი არის, შესაძლებლობის ფარგლებში, იმის უზრუნველყოფა, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. აღნიშნული გამორიცხავს ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მაგალითად სტიქიური უბედურებები ან გლობალური პანდემია 2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის quick ratio 3,5 (2023 წლის 31 დეკემბრისათვის 0,48 იყო),რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მაჩვენებელია წინა წელთან შედარებით კომპანია სავალუტო რისკს ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია კომპანიის ფინანსური აქტივები (რაც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს), და მის სესხებს შორის, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი.

6. საოპერაციო რისკები

კომპანია საოპერაციო რისკები იმართება სესხის გაცემის პროცესში რისკების ანაზღაურების წარმატებული პროცედურების და ასევე ვალების ამოღების ეფექტური პროცედურებით. კომპანია რეგულარულად ასწორებს/აუმჯობესებს საიჯარო პოლიტიკას და დავალიანების ამოღების/შეგროვების პროცედურებს პორტფელის ხარისხის გაუარესების შესამცირებლად.

იმისათვის, რომ მუდმივად ხდებოდეს პორტფელის ხარისხის კონტროლი, დანერგილია მთელი რიგი პროცედურები/რეპორტები, რომლის მიხედვითაც ყოველდღიურ რეჟიმში დეტალურად მოწმდება უკვე გაცემული თუ გასაცემი სალიზინგო პორტფელი, გამოიყენება სხვადასხვა კოეფიციენტები და რომელიმეს დარღვევის შემთხვევაში მყისიერად ხდება პროცესების ცვლილება/გაუმჯობესება. სამუშაო პროცესში ჩართულ თითოეულ დეპარტამენტს გააჩნია ყოველკვარტალური KPI, რომლის შესრულებას დიდი ყურადღება ექცევა და მაქსიმალურად ხდება მათი დროში კონტროლი. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 19 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: სერგეი ტიბეცი
მთავარი ბუღალტერი: ლელა წამალაიძე